

შპს „იმპეჩსვარმი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

**საანგარიშო წლისათვის, რომელიც დასრულდა
2018 წლის 31 დეკემბერს**

**თბილისი
2019**

სარჩევი

<i>დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....</i>	<i>3</i>
<i>ფინანსური ანგარიშგება:</i>	
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	9
 <i>სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები</i>	
1. ზოგადი ინფორმაცია.....	10
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი.....	11
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა.....	11
4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები.....	16
5. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან.....	16
6. გადახდილი ავანსები.....	16
7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები.....	17
8. ძირითადი საშუალებები.....	17
9. არამატერიალური აქტივები.....	19
10. გაცემული სესხები.....	20
11. ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან.....	20
12. საწესდებო კაპიტალი.....	21
13. ამონაგები.....	21
14. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	21
15. სხვა შემოსავალი.....	22
16. სხვა ხარჯი.....	22
17. ფინანსური რისკების მართვა.....	22
18. კაპიტალის მართვა.....	25
19. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება.....	26
20. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის	26
21. წინა პერიოდის კორექტირებები.....	27
22. განუსაზღვრელი ვალდებულებები.....	27
23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები.....	29

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „იმპექსფარმის“

დირექტორსა და პარტნიორს

შევამოწმეთ შპს „იმპექსფარმის“ (შემდგომში „კომპანიის“) ფინანსური ანგარიშგება, რომელიც მოიცავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობის ანგარიშგებას, 2018 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, სრული შემოსავლების, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებას და ფულის ნაკადების ანგარიშგებას, ამ დღეს დასრულებული წლისთვის, ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებულ განმარტებით შენიშვნებს და სააღრიცხვო პოლიტიკას.

ჩვენი მოსაზრებით, თანდართული ფინანსური ანგარიშგებები სამართლიანად წარმოადგენს, ყველა არსებით ასპექტში, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, მის ფინანსურ მაჩვენებლებს და ფულადი სახსრების მოძრაობას, ამ დღეს დასრულებული წლისთვის, „მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის“ (მსს ფასს) (IFRS for SMEs) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს) (ISAs) მიხედვით. ჩვენი მოვალეობები ამ სტანდარტების მიხედვით შემდგომ აღწერილია ჩვენი მოხსენების იმ განყოფილებაში, რომელიც ეხება აუდიტორის მოვალეობებს ფინანსური ანგარიშგებების აუდიტთან დაკავშირებით. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან, „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის საერთაშორისო ეთიკის სტანდარტების საბჭოს“ (პბეკ კოდექსი) (IESBA code) მიხედვით, ეთიკურ მოთხოვნებთან ერთად, რომლებიც შეეხება ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში.

გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მიღებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარის და სათანადო საფუძველს ქმნის ჩვენი დასკვნის ჩამოყალიბებისათვის.

სხვა ინფორმაცია რომელიც ასახულია კომპანიის მმართველობით ანგარიშგებაში

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია გულისხმობს მმართველობით ანგარიშგებაში ასახულ ინფორმაციას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის და ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით მართვის უფლებამოსილების მქონე პირების პასუხისმგებლობები

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის სამართლიან წარმოდგენაზე მს. ფასს (IFRS for SMEs) შესაბამისად და იმ შიდა კონტროლზე, რომელსაც საჭიროდ ჩათვლის, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის, რომელიც არ შეიცავს არასწორ მასალას თაღლითობისა თუ შეცდომის გამო.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია შეაფასოს კომპანიის შესაძლებლობა, რომ მუშაობა განაგრძოს, როგორც მოქმედმა ფირმამ, სათანადოდ ასახოს მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები და გამოიყენოს აღრიცხვა მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, თუ ხელმძღვანელობას განზრახული არ აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ფუნქციონირების შეწყვეტა ან ამის გარდა სხვა რეალური ალტერნატივა არ გააჩნია.

მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობაა ზედამხედველობა გაუწიონ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს.

აუდიტორის მოვალეობები ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი ამოცანაა მივიღოთ გონივრული დასაბუთება, იმასთან დაკავშირებით, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება, მთლიანობაში, არსებით უზუსტობებს, თაღლითობისა თუ შეცდომის გამო და მოვამზადოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც შეიცავს ჩვენს დასკვნას. გონივრული დასაბუთება მტკიცებულების მაღალ დონეს წარმოადგენს, მაგრამ ეს არაა გარანტია, რომ ასს-ს (ISAs) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს მასალის უზუსტობას მისი არსებობის შემთხვევაში.

უზუსტობები შეიძლება წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ მათ, ცალ-ცალკე, ან მთლიანობაში, შესაბამისად, შეუძლია ზეგავლენის მოხდენა მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებულია ამ ფინანსური ანგარიშგებების საფუძველზე.

ასს-ს (ISAs) შესაბამისად წარმოებულ აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის წარმოების დროს. ჩვენ აგრეთვე:

- განვსაზღვრავთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების მასალის არსებითი უზუსტობის რისკებს, წარმოშობილია ის თაღლითობის თუ შეცდომის გამო, აუდიტის პროცედურებს ვაწარმოებთ ამ რისკების შესაბამისად და ვიღებთ აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც საკმარისია ჩვენი მოსაზრების საფუძველის ჩამოყალიბებისათვის და შეესაბამება მას. თაღლითობის შედეგად დაშვებული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომისაგან წარმოშობილი უზუსტობის არ გამოვლენის რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება დაკავშირებული იყოს შეთქმულებასთან, გაყალბებასთან, განზრახ უმოქმედობასთან, არასწორად წარმოდგენასთან ან შიდა კონტროლის თავის არიდებასთან.
- ვერკვევით შიდა კონტროლის პროცედურებში, რომლებიც დაკავშირებულია აუდიტთან, რათა შეიქმნას გარემოებების შესაბამისი აუდიტის პროცედურები, მაგრამ არა კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობის შესახებ აზრის გამოხატვის მიზნით.
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, საბუღალტრო ხარჯთაღრიცხვის გონივრულობასა და ხელმძღვანელობის მიერ შესაბამისი ინფორმაციის ასახვას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე საბუღალტრო აღრიცხვის წარმოების მიზანშეწონილობის შესახებ და მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, არსებობს თუ არა არსებითი ბუნდოვანება

იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმის შესახებ, კომპანიას შეუძლია თუ არა ფუნქციონირების გაგრძელება მოქმედი საწარმოს სახით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი ბუნდოვანება, მაშინ აუცილებელია, რომ ყურადღება გავამახვილოთ ჩვენს აუდიტორის ანგარიშში, შესაბამის ინფორმაციაზე, ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადექვატურია, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტის მტიკიცებულებებს, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტორის მოხსენების თარიღამდე. თუმცა, მომავალში განვითარებულმა მოვლენებმა ან პირობებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც მოქმედი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ, თუ რამდენად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთო წარმოდგენა, სტრუქტურა და შინაარსი, შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების კეთილდინდისიერად ასახვის მოთხოვნებს.
- ვიღებთ აუდიტის საკმარის და სათანადო მტიკიცებულებებს, კომპანიაში არსებული საწარმოების და ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ. პასუხისმგებელი ვართ აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე. კომუნიკაციას ვამყარებთ მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, უკავშირდება აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და დროის შერჩევას და მნიშვნელოვან აუდიტორულ აღმოჩენებს, მათ შორის, შიდა კონტროლში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებს, რომლებიც გამოვავლინეთ აუდიტის წარმოების დროს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

2018 წ. 31 დეკემბერს დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს.

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „არბიტრანსის“ სახელით

მმართველი პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)

05.11.2019

იმ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებით, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვი გამოიწვიოს იმის შესახებ, კომპანიას შეუძლია თუ არა ფუნქციონირების გაგრძელება მოქმედი საწარმოს სახით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი ბუნდოვანება, მაშინ აუცილებელია, რომ ყურადღება გავამახვილოთ ჩვენს აუდიტორის ანგარიშში, შესაბამის ინფორმაციაზე, ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაა დეექვატურია, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი დასკვნები ეფუძნება აუდიტის მტიკიცებულებებს, რომლებიც მიღებულია ჩვენი აუდიტორის მოხსენების თარიღამდე. თუმცა, მომავალში განვითარებულმა მოვლენებმა ან პირობებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც მოქმედი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა.

- ვაფასებთ, თუ რამდენად შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების საერთო წარმოდგენა, სტრუქტურა და შინაარი, შესაბამისი ტრანზაქციებისა და მოვლენების კეთილდინდისიერად ასახვის მოთხოვნებს.
- ვიღებთ აუდიტის საკმარის და სათანადო მტიკიცებულებებს, კომპანიაში არსებული საწარმოების და ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ. პასუხისმგებელი ვართ აუდიტის წარმართვაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე. კომუნიკაციას ვამყარებთ მართვაზე პასუხისმგებელ პირებთან, რომელიც, სხვა საკითხებთან ერთად, უკავშირდება აუდიტის დაგეგმილ მასშტაბსა და დროის შერჩევას და მნიშვნელოვან აუდიტორულ აღმოჩენებს, მათ შორის, შიდა კონტროლში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებს, რომლებიც გამოვავლინეთ აუდიტის წარმოების დროს.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (კანონი) განსაზღვრული ნაწილების (საქმიანობის მიმოხილვა) ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე


ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

2018 წ. 31 დეკემბერს დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტიკდა ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 20 სექტემბერს.

აუდიტორის ხელმოწერა:

შპს „არბიტრანსის“ სახელით

მმართველი პარტნიორი გოჩა ჭოლოკავა (SARAS-A-374286)



05.11.2019

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
სულ აქტივები		<u>41,622,515</u>	<u>35,105,327</u>
<i>სულ მიმდინარე აქტივები</i>		<i><u>33,757,889</u></i>	<i><u>27,451,434</u></i>
ფული და მისი ექვივალენტები	4	11,791,827	3,860,533
მოთხოვნები ბანკების მიმართ		0	3,000,000
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5	4,564,617	4,241,302
გადახდილი ავანსები	6	807,506	968,327
მოთხოვნები ბიუჯეტის მიმართ		273,359	185,333
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		30,888	30,809
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	16,289,692	15,165,130
<i>სულ გრძელვადიანი აქტივები</i>		<i><u>7,864,626</u></i>	<i><u>7,653,893</u></i>
ძირითადი საშუალებები	8	3,820,016	3,984,169
არამატერიალური აქტივები	9	49,016	54,721
გაცემული სესხები	10	2,584,629	2,585,072
მისაღები პროცენტები		1,410,965	1,029,931
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>41,622,515</u>	<u>35,105,327</u>
<i>სულ მიმდინარე ვალდებულებები</i>		<i><u>5,018,723</u></i>	<i><u>3,304,213</u></i>
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	11	4,925,360	3,252,840
მიღებული ავანსები		93,363	51,373
<i>სულ საკუთარი კაპიტალი</i>		<i><u>36,603,792</u></i>	<i><u>31,801,114</u></i>
საწესდებო კაპიტალი	12	2,000	2,000
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		31,799,114	27,046,093
საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი)		4,802,678	4,753,021

დირექტორი

დავით კოხრეიძე

მთ. ბუღალტერი

ლია ხაინდრავა

სულ აქტივები	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
		<u>41,622,515</u>	<u>35,105,327</u>
<i>სულ მიმდინარე აქტივები</i>		<u>33,757,889</u>	<u>27,451,434</u>
ფული და მისი ექვივალენტები	4	11,791,827	3,860,533
მოთხოვნები ბანკების მიმართ		0	3,000,000
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	5	4,564,617	4,241,302
გადახდილი ავანსები	6	807,506	968,327
მოთხოვნები ბიუჯეტის მიმართ		273,359	185,333
მოთხოვნები პერსონალის მიმართ		30,888	30,809
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	7	16,289,692	15,165,130
<i>სულ გრძელვადიანი აქტივები</i>		<u>7,864,626</u>	<u>7,653,893</u>
ძირითადი საშუალებები	8	3,820,016	3,984,169
არამატერიალური აქტივები	9	49,016	54,721
გაცემული სესხები	10	2,584,629	2,585,072
მისაღები პროცენტები		1,410,965	1,029,931
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		<u>41,622,515</u>	<u>35,105,327</u>
<i>სულ მიმდინარე ვალდებულებები</i>		<u>5,018,723</u>	<u>3,304,213</u>
ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	11	4,925,360	3,252,840
მიღებული ავანსები		93,363	51,373
<i>სულ საკუთარი კაპიტალი</i>		<u>36,603,792</u>	<u>31,801,114</u>
საწესდებო კაპიტალი	12	2,000	2,000
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		31,799,114	27,046,093
საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი)		4,802,678	4,753,021



დირექტორი

დავით კოხრეიძე

მთ. ბუღალტერი

ლია ხაინდრავა

		2018 წელი	2017 წელი
	შენიშვნა		
ამონაგები	13	60,979,873	53,279,003
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება		-49,509,753	-43,005,026
საერთო მოგება		<u>11,470,120</u>	<u>10,273,977</u>
შრომის ანაზღაურების ხარჯები		-4,159,704	-3,068,824
რეკლამის ხარჯები		-170,030	-145,287
იჯარის ხარჯები		-2,033,693	-1,798,782
საოფისე, სამეურნეო და საკანცელარიო ხარჯები		-175,906	-185,135
საკომუნიკაციო ხარჯები		-131,174	-119,468
დაცვის მომსახურების ხარჯი		-40,499	-43,251
ქონების დაზღვევის ხარჯი		-10,072	-7,573
საწვავის ხარჯები		-357,792	-303,800
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები		-75,234	-72,921
ცვეთა/ამორტიზაცია		-609,707	-551,942
კომუნალური ხარჯები		-247,974	-228,316
მივლინების ხარჯები		-59,098	-52,017
ტრანსპორტის საექსპლუატაციო ხარჯი		-186,793	-135,689
სხვა საერთო და			
ადმინისტრაციული ხარჯი	14	-1,215,365	-573,971
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		<u>1,997,079</u>	<u>2,987,001</u>
სხვა შემოსავალი	15	1,826,944	1,256,056
სხვა ხარჯი	16	-34,849	-5,852
საპროცენტო შემოსავალი		1,149,084	643,460
ზარალი უცხოური ვალუტით		-135,580	-127,644
ვაჭრობიდან და გადაფასებიდან			
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		<u>4,802,678</u>	<u>4,753,021</u>
მოგების გადასახადი			-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		<u>4,802,678</u>	<u>4,753,021</u>

	31.12.2018	31.12.2017
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>7,759,518</u>	<u>4,860,008</u>
(+) საქონლის მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები	56,003,285	50,283,506
(+) მომსახურების მიწოდებიდან მიღებული ფულადი სახსრები	124,645	200,722
(+) სხვა მიღებული ფულადი სახსრები		351,992
(-) საქონლის მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	(34,912,393)	(38,857,635)
(-) მიღებულ მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	(3,875,100)	(3,116,829)
(-) გაცემული ხელფასები	(3,306,312)	(2,433,584)
(-) კომუნალური მომსახურებაზე გადახდილი ფულადი სახსრები		(241,136)
(-) ბიუჯეტში გადახდილი ფულადი სახსრები	(1,894,343)	(895,617)
(-) სხვა ხარჯებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(4,380,264)	(431,409)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან</u>	<u>(517,768)</u>	<u>(510,901)</u>
(+) ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები	12,704	5,000
(-) უძრავი ქონების შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები		-
(-) კაპიტალურ რემონტზე გადახდილი ფულადი სახსრები	(27,752)	(35,687)
(-) ავტოსატრანსპორტო საშუალების შეძენაზე გადახდილი ფულადი სახსრები		(68,000)
(-) სხვა ძირითად საშუალებაზე გადახდილი ფულადი სახსრები	(502,720)	(412,214)
<u>წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან</u>	<u>752,336</u>	<u>(2,698,225)</u>
(+) გაცემული სესხის ძირის დაბრუნება		67,642
(+) გაცემული სესხებიდან და დეპოზიტებიდან მიღებული პროცენტი	752,336	264,132
(-) სესხის გაცემა		(30,000)
(-) სადეპოზიტო სერტიფიკატის შეძენა		(3,000,000)
(-) გაცემული დივიდენდი		-
სავალუტო კურსის ეფექტი	(62,792)	(16,701)
<u>წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში</u>	<u>7,931,294</u>	<u>1,634,181</u>
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	4	3,860,533
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	4	11,791,827
		<u>3,860,533</u>

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	დივიდენდის განაწილება	სულ
31.12.2016 წაშთი	<u>2,000</u>	<u>28,897,724</u>	<u>(1,851,632)</u>	<u>27,048,093</u>
მოგების განაწილება				-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		4,753,021		4,753,021
31.12.2017 წაშთი	<u>2,000</u>	<u>33,650,745</u>	<u>(1,851,632)</u>	<u>31,801,114</u>
მოგების განაწილება				-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		4,802,678		4,802,678
31.12.2018 წაშთი	<u>2,000</u>	<u>38,453,423</u>	<u>(1,851,632)</u>	<u>36,603,792</u>

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იმპექსფარმი“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

საზოგადოება დაფუძნებული იქნა საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი დამფუძნებელ-პარტნიორის 1999 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე.

შპს „იმპექსფარმი“-ს, გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 204927909, სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელებულია ქ. თბილისის ვაკის რაიონული სასამართლოს მიერ 1999 წლის 26 აპრილს, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი 5/4-2003.

საზოგადოების საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვაზე აყვანა) განხორციელა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ (ქ. თბილისი, ვაკის რაიონში) და მიანიჭა გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 204927909.

დღიდან საზოგადოების დაფუძნებისა მის 100%-იანი წილის მფლობელს (პარტნიორი) წარმოადგენს ფიზიკური პირი დავით კოხრეიძე, პ/ნ 01012016848.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაფუძნების დღიდან შეადგენს 2,000 ლარს. მისი სიდიდე მეტად აღარ შეცვლილა და იგივე მოცულობით უცვლელად ფიქსირდება საანგარიშო პერიოდშიც.

კომპანია დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ. აღნიშნულ მისამართზე წარმოდგენილია კომპანიის სათაო ოფისი და მისი ერთ-ერთი საწყობი.

საზოგადოების წესდებით და ფაქტობრივად კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მედიკამენტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა, სააფთიაქო ქსელის შექმნა/გაფართოება. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით შექმნილი სააფთიაქო (ასევე სასაწყობო) ქსელის მეშვეობით.

ტრადიციულად და საანგარიშო პერიოდშიც საზოგადოება თავის სააფთიაქო ქსელში ახდენს ადგილზე (საქართველოში) შეძენილ და იმპორტირებული საქონლის რეალიზაციას. ბოლო პერიოდში ყურადღება ექცევა ასევე წარმომადგენლობით (სახელობითი წამლები და ა.შ.) საქმიანობასა და უცხოელი მწარმოებლებისათვის მედიკამენტების სარეგისტრაციო მომსახურების გაწევასაც. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის არეალი ფაქტობრივად სცილდება საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებსაც.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას შვილობილი კომპანიები, ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

01.01.2018 წლისათვის კომპანიაში მუშაობდა 508 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 01.01.2019 წლისათვის კი 549 თანამშრომელი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) 2017 წლის რედაქციის მიხედვით. საზოგადოებამ მსს ფასს პირველად გამოიყენა 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად. შესაბამისად, გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება - „მსს ფასს-ზე გადასვლა“.

სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც მოცემულია მე-3 განმარტებით შენიშვნაში გამოყენებულ იქნა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული შესადარისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს საზოგადოების პირველ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ის შესაბამისი პირველი ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს საზოგადოებას არ გაუკეთებია რაიმე სახის კორექტირება, იქიდან გამომდინარე, რომ მსს ფასს-ზე გადასვლას არ ჰქონდა არსებითი გავლენა საზოგადოების ფინანსურ ანგარიშგებაზე, არ მომხდარა აღნიშნულთან დაკავშირებით რეკონსილაცია.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე. საზოგადოება არ ფლობს ისეთ აქტივებსა და ვალდებულებებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საზოგადოება განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

საზოგადოების მოქმედი/(სამუშაო) ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება საზოგადოების ხელთ არსებული ბანკნოტებისა და მონეტებისგან და ბანკებში არსებულ შეუზღუდავ ანგარიშებზე არსებული ნაშთისგან.

უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი სახსრები ეროვნულ ვალუტაში გადანაგარიშებულია ბალანსის შედგენის თარიღისათვის არსებული გასაცვლელი კურსით.

ამონაგების აღიარება

საზოგადოება ამონაგებს შეაფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება საზოგადოების მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საზოგადოების საკუთარი სახელით მიღებული ან მისაღები ეკონომიკური სარგებლის მთლიანი თანხა. საზოგადოება ამონაგებში არ ითვალისწინებს მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებულ ისეთ თანხებს, როგორცაა, მაგალითად სახელმწიფოს სახელით ამოღებული ბრუნვის გადასახადი, საქონლისა და მომსახურების გადასახადები და დამატებითი ღირებულების გადასახადი.

სააგენტო ურთიერთობებში, როდესაც საზოგადოება რწმუნებულის როლში გამოდის, საზოგადოების ამონაგებში ჩართულია მხოლოდ საკომისიოს სახით მიღებული თანხები. მარწმუნებლის სახელით ამოღებული თანხები საზოგადოების ამონაგები არ არის.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საზოგადოებაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია რომ საზოგადოება მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს ფასდება მისი თვითღირებულებით. ძირითადი საშუალებების ერთეულის თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების დღისათვის თანადროული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პირობა სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ ამ თანხასა და მთლიან გადასახდელ თანხას შორის სხვაობა აღიარებული იქნება როგორც საპროცენტო ხარჯი კრედიტის ვადის განმავლობაში, ან მოხდება მისი კაპიტალიზაცია, თუ გადავადებული გადახდა უკავშირდება განსაკუთრებულ აქტივს.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საზოგადოება ყველა ძირითადი საშუალებას აღრიცხავს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ძირითადი საშუალების ყოველ ერთეულს ცვეთა ერიცხება ცალ-ცალკე. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, აქტივის ცვეთადი ღირებულება ნაწილდება

სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში დარიცხვის წრფივი მეთოდის გამოყენებით. აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული ამოცანების მიზნებისათვის.

საზოგადოება ძირითადი საშუალების ყოველდღიური საექსპლუატაციო მომსახურების დანახარჯებს აღიარებს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომლის განმავლობაშიც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა გადაისინჯება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და თუ მოსალოდნელი მნიშვნელოვნად განსხვავდება წინა შეფასებებისაგან, ცვლილებები აისახება როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საზოგადოებისათვის.

მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე, ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში. როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა, შემოსულობა არ უნდა კლასიფიცირდეს როგორც ამონაგები.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10% განაკვეთით.

ჩვეულებრივი იჯარა - საზოგადოება როგორც მოიჯარე

იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად, თუ იგი ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარა კლასიფიცირდება ჩვეულებრივ (საოპერაციო) იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას.

იჯარის კლასიფიკაცია ხდება იჯარის დასაწყისში და არ იცვლება მისი ვადის განმავლობაში. თუ შემდეგ მოიჯარე და მეიჯარე გადაწყვიტენ საიჯარო პირობების შეცვლას (იმ შემთხვევის გარდა, როდესაც უბრალოდ იჯარა განახლდება), აუცილებელია იჯარის კლასიფიკაციის გადახედვა.

ჩვეულებრივი იჯარის დროს საზოგადოება საიჯარო გადასახდელებს ხარჯად აღიარებს (ისეთი მომსახურების დანახარჯების გარდა, როგორიცაა დაზღვევა და აქტივის მიმდინარე ტექნომომსახურება) წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები შეფასებულია თვითღირებულებასა და მის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მარაგის შეძენის დანახარჯები მოიცავს: მისი შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საზოგადოებას უნდა დაუბრუნონ შემდგომში), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებსა და სხვა დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან. სავაჭრო დათმობა, სხვადასხვა სახის ფასდათმობები და სხვა ანალოგიური მუხლები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების მიღება აღიარებულია შეძენის თვითღირებულებით, გასვლა აღიარებულია იდენტიფიცირებადი მეთოდით.

როდესაც მარაგი გაიყიდება, მისი საბალანსო ღირებულება აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც მიღებულ იქნა შესაბამისი ამონაგები.

ზოგიერთი სახის მარაგი შეიძლება მიეკუთვნოს სხვა აქტივების ანგარიშებს, მაგალითად მარაგი, რომელიც საზოგადოების მიერ გამოყენებული იყო საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების კომპონენტის სახით. სხვა აქტივზე ამგვარად მიკუთვნებული მარაგი შემდგომში აისახება წინამდებარე სააღრიცხვო პოლიტიკის იმ დებულებების მიხედვით, რომელიც ამ აქტივის ტიპის შესაფერისი იქნება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საზოგადოება საქონლისა და მომსახურების გაყიდვებს ახორციელებს ნორმალურ საკრედიტო პირობებში, აქედან გამომდინარე, მოთხოვნებზე პროცენტის დარიცხვა არ ხდება.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზოგადოება ახდენს სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების შეფასებას, რათა განისაზღვროს, ხომ არ არსებობს თანხების ამოუღებლობის რაიმე ობიექტური მტკიცებულება. ასეთის არსებობის შემთხვევაში, ხდება საექვო მოთხოვნების შეფასება და გაუფასურების ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას,

სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები, ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან საზოგადოების ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კაპიტალის მართვა

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი და შეზღუდული არ არის შესაბამის საქმიანობის პირობებში კაპიტალის მინიმალური სიდიდის მოთხოვნები.

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით საზოგადოების მიზანია შეინარჩუნოს და გააგრძელოს საქმიანობა შემდგომში, როგორც ფუნქციონირებდნა საწარმომ ისე, რომ შეძლოს პარტნიორებისათვის მოგების მიცემა.

დივიდენდი

საზოგადოების შესაძლებლობა, გამოაცხადოს და გადაიხადოს დივიდენდი, ექვემდებარება საქართველოს კანონმდებლობის მიერ დაწესებულ წესებსა და ნორმებს.

გაუნაწილებელ მოგებაში დივიდენდების ასახვა ხორციელდება, მათი გამოცხადების პერიოდში.

უცხოური ვალუტის გადაფასება

უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგებები აღირიცხება იმ გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც არსებობს ოპერაციის თარიღისათვის. უცხოურ ვალუტაში გამოსახული გარიგების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი გაცვლითი კურსის სხვაობები აისახება მოგება-ზარალის უწყისში იმ დღისათვის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია ქართულ ლარებში (საზოგადოების სამუშაო ვალუტა) საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშო პერიოდის ბოლო თარიღისათვის გამოცხადებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

ვალუტის სახეობა	31/12/2018	31/12/2017
1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922
1 ევრო	3.0701	3.1044

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ექვემდებარება ურთიერთგაქვითვას, ხოლო წმინდა ოდენობა ბალანსში ასახვას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის სამართლებრივად მოქმედ უფლებას, და სახეზეა განზრახვა წარმოებულ იქნას ურთიერთგაქვითვა ნეტო-საფუძველზე ან ერთდროულად განხორციელებულ იქნას აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების შესრულება.

4. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

(ლარი)

N	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	642 683	340 808
2	ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	11 055 762	2 808 377
3	ფული საბანკო ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	93 382	711 348
	სულ ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11 791 827	3 860 533

5. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

(ლარი)

N	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	მოთხოვნები მომსახურების მიწოდებიდან	23 048	47 104
2	მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან	4 541 569	4 193 052
3	მოთხოვნები საქონლის მიწოდებიდან კონსიგნაციით	0	1 147
	სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,564,617	4 241 302

6. გადახდილი ავანსები

(ლარი)

N	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	საქონლის უცხოელ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	460 858	301 135
2	მომსახურების უცხოელ მომწოდებლებზე გადახ. ავანსები	0	571
3	ადგილობრივ მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	342 479	666 622
4	ხელფასად გადახ. ავანსები	4,167	0
	სულ გადახდილი ავანსები	807 506	968 327

7. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

(ლარი)

N	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	საქონელი საწყობში (ბაზა სათაო ოფისი)	1,874,170	1 901 304
2	საქონელი საწყობში (ლილო)	8,308,558	6 838 974
3	საქონელი დასაწყობებული საბაჟო ტერმინალზე	129,305	367 812
4	საქონელი ავთიაქებში	5,956,700	6 042 898
5	საწვავი	18,336	14 118
6	სამეურნეო ნედლეული და მასალები	2,623	25
7	საფირმო ატრიბუტიკა	-	-
	სულ სასაქონლო-მატერიალური მარაგები	16,289,692	15 165 130

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თავდაპირველ (ისტორიული) ღირებულებას აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

(ლარი)

N	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	მიწა	819 365	819 365
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	20,743	4 917
3	შენობა-ნაგებობანი	1,769,827	1 825 321
4	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	505 834	701 104
5	კომპიუტერული ტექნიკა	281,834	151 020
6	ავტოტრანსპორტი	164,045	160 352
7	სხვა ძირითადი საშუალებები	258,368	322 089
	სულ ძირითადი საშუალებები	3,820,016	3 984 169

ძირითადი საშუალებების სახეების მიხედვით დადგენილი ცვეთის ნორმა მოცემულია ქვემოთ:

შენობები და ნაგებობები	2,5%
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	10-33%
კომპიუტერული ტექნიკა	20-25%
ავტოტრანსპორტი	10-25%
სხვა ძირითადი საშუალებები	14-20%

ძირითადი საშუალებების მოძრაობა

N	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	გასვლა	შემოსვლა	ნაშთი 31.12.2017	გასვლა	შემოსვლა	ნაშთი 31.12.2016
	საწყისი საბალანსო ღირებულება							
1	მიწა	819 365	-	-	819 365	-	-	819 365
2	დაუმთავრებელი მშენებლობა	21836	-30599	47 518	4 917	(274 604)	107 511	172 010
3	შენობა-ნაგებობანი	2 141 921	-	-	2 141 921	-	255 135	1 886 786
4	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	1 620 112	(13 379)	245 640	1 387 851	-	321 010	1 066 841
5	კომპიუტერული ტექნიკა	464 044	-	32 347	431 697	-	32 703	398 994
6	ავტოტრანსპორტი	523 404	(49 840)	101 370	471 874	(23 250)	72 821	422 223
7	სხვა ძირითადი საშუალებები	887 937	-	75 846	812 091	-	73 937	738 155
	ჯამი	6 478 619	-93818	502721	6 069 637	(297 854)	863 116	5 504 375

N	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	ნაშთი 31.12.2017	ცვეთის ჩამოწერა	ცვეთის დარიცხვა	ნაშთი 31.12.2016
	ძირითადი საშუალებების ცვეთა							
1	შენობა-ნაგებობანი	372095	-	55494	316 600	-	52 441	264 159
2	ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი	1005908	-9661	328822	686 747	-	270 483	416 264
3	კომპიუტერული ტექნიკა	361848		81171	280 677	-	80 845	199 832
4	ავტოტრანსპორტი	359360	-30948	78786	311 522	(13 001)	65 031	259 492
5	სხვა ძირითადი საშუალებები	558301		68299	490 002	-	77 335	412 667
6	დაუმთავრებელი მშენებლობა	1092	-	1092	0			
	ჯამი	2658603	-40608	613663	2 085 548	(13 001)	546 135	1 552 414

	საბალანსო ღირებულება	3 820 016			3 984 089			3 951 961
--	-----------------------------	------------------	--	--	------------------	--	--	------------------

9. არამატერიალური აქტივები

N	დასახელება	ნაშთი 31.12.20 18	გასვლა	შემოსვ ლა	ნაშთი 31.12.20 17	გასვ ლა	შემოსვლა	ნაშთი 31.12.20 16
	საწყისი საბალანსო ღირებულება							
1	ლიცენზიები	53 885	-	-	53 885	-	-	53 885
2	პატენტები	1 915	-	-	1 915	-	-	1 915
3	პროგრამული უზრუნველყოფა	10 160	-	-	10 160	-	-	10 160
4	სხვა არამატერიალური აქტივები	2 164	-	-	2 164	-105	-	2 269
	ჯამი	68 124	-	-	68 124	-105	-	68 229

N	დასახელება	ნაშთი 31.12.20 18	ცვეთის ჩამოწე რა	ცვეთის დარიცხ ვა	ნაშთი 31.12.20 17	ცვეთ ის ჩამოწ ერა	ცვეთის დარიცხვა	ნაშთი 31.12.20 16
	არამატერიალური აქტივების ცვეთა							
1	ლიცენზიები	13 471		5 389	8 083	-	5 389	2 694
2	პატენტები	1676		192	1 484	-	192	1 293
3	პროგრამული უზრუნველყოფა	1886		101	1 785	-	201	1 585
4	სხვა არამატერიალური აქტივები	2074		24	2 050	-9	26	2 033
	ჯამი	19 107		316	13 402	-9	5 807	7 604
	საბალანსო ღირებულება	49 016			54 721	-96	(5 807)	60 625

არამატერიალური აქტივების მოძრაობა

არამატერიალური აქტივების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით 10%-იანი განაკვეთის გათვალისწინებით. აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით:

(ლარი)

	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ლიცენზიები	40 414	45 802
2	პატენტები	239	431
3	პროგრამული უზრუნველყოფა	8 274	8 374
4	სხვა არამატერიალური აქტივები	89	114
	სულ არამატერიალური აქტივები	49 016	54 721

10. გაცემული სესხები

(ლარი)

N	დასახელება	31.12.2018	31.12.2017
1	გაცემული სესხები	2,584,629	2 585 072
2	მისაღები პროცენტები	1,410,965	1 029 931
	სულ გაცემული სესხები	3 995 594	3 615 003

11. ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან

(ლარი)

N	დასახელება	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017
1	ვალდებულებები უცხოური კომპანიებიდან საქონლის მოწოდებაზე	2 983 252	1 017 601
2	ვალდებულებები ადგილობრივი კომპანიებიდან მომსახურების მოწოდებაზე	122 108	96 453
3	ვალდებულებები ადგილობრივი კომპანიებიდან საქონლის მოწოდებაზე	1 820 000	2 138 786
	სულ ვალდებულებები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	4 925 360	3 252 840

12. საწესდებო კაპიტალი

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საზოგადოების საწესდებო კაპიტალი უცვლელია და შეადგენს 2 000 ლარს.

აღნიშნული სიდიდით საზოგადოების საწესდებო კაპიტალი ჩამოყალიბებულია 1999 წლიდან (დღიდან დაფუძნებისა) და შემდგომში მეტად აღარ შეცვლილა.

13. ამონაგები

(ლარი)

N	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	60 799 541	53 171 675
2	შემოსავლის კორექტირება საქონლის უკან დაბრუნებით	(100,979)	(120 030)
3	შემოსავალი მომსახურებიდან	281 311	227 358
	სულ ამონაგები	60 979 873	53 051 645

14. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

(ლარი)

N	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	სასაქონლო-მატერიალური მარაგის ჩამოწერის ხარჯები	(590320)	(71 046)
2	საბაჟოზე გაწეული ხარჯები	(1947)	(3 820)
3	სხვა საგადასახადო ხარჯი	(40037)	(39 207)
4	წარმომადგენლობითი ხარჯები	(4115)	(2 736)
5	ჩაუთვლელი დღგ-ს ხარჯები	(311415)	(283 514)
6	საბაჟო ტერმინალის მომსახურება	(34368)	(39 024)
7	თარგმნა ნოტარიული	(1640)	(23 693)
8	ბანკის მომსახურების ხარჯი	(38904)	(42 053)
9	სალარო-აპარატის მომსახურება	(16260)	(15 811)
10	საწევრო	(12400)	(12 400)
11	წამლის რეგისტრაცია	(7600)	(16 000)
		(156359)	(24 667)
10	სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	(1,215,365)	(573 971)

15. სხვა შემოსავალი

(ლარი)			
N	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	კრედიტ ნოტებით მიღებული შემოსავალი	945 062	358 837
2	ინვენტარიზაციით მიღებული ზედმეტობა	26 537	20 598
3	სხვა არასაოპერაციო შემოსავალი (უსასყ/ფასდაკლება)	795 163	876 622
4	დადებითი საკურსო სხვაობა	60 182	
	სულ სხვა შემოსავალი	1 826 944	1 256 056

16. სხვა ხარჯი

(ლარი)			
N	დასახელება	31.12.2018	31.12.2017
1	ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი	(6 569)	(5 852)
2	კონვერტაციის ხარჯი	(28 280)	
	სულ სხვა ხარჯი	(34 849)	(5 852)

17. ფინანსური რისკების მართვა

საზოგადოებაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკის მართვის მთავარი მიზანია დააწესოს რისკის საზღვრები და შემდეგ უზრუნველყოს, რომ რისკის გავლენა მოექცეს ამ საზღვრებში. ოპერაციული და საკანონმდებლო რისკების მართვა გამიზნულია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირება ოპერაციული და საკანონმდებლო რისკის მინიმუმადე შესამცირებლად.

ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. საზოგადოება ექვემდებარება საკრედიტო რისკის ზემოქმედებას. ეს არის იმ პოტენციური შემთხვევების ალბათობის რისკი, რომ შესაძლოა საზოგადოების

პარტნიორმა მხარეებმა [საქონლისა და მომსახურების მყიდველ(ებ)ი] ვერ გადაიხადონ მიღებული/(მიწოდებული) საქონლისა და მომსახურების ღირებულების თანხები სრულად, როცა მათი გადახდის დრო მოვა. შესაბამისად, საზოგადოება განსაზღვრავს კრედიტის რისკის დონეების ლიმიტებს რისკთან დაკავშირებულ იმ თანხებზე, რომელიც წარმოშობილია ერთ ან რამოდენიმე პირზე - დებიტორზე.

შესაბამისად, საკრედიტო რისკი ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მის მიერ კონტრაგენტებისათვის საქონლისა და მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევებში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

საზოგადოების მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
გაცემული სესხები და დეპოზიტები			
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან (დარიცხული %ების ჩათვლით)	3 995 594	3 615 003	3 266 802
დეპოზიტები	-	3 000 000	-
სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნები			
სავაჭრო და საავანსო მოთხოვნები	5 372 122	5 209 629	5 622 241
სხვა მოთხოვნები	30 888	216 141	629 492
ფულადი სახსრები და ექვივალენტები			
ნაშთები საბანკო ანგარიშებზე	11 148 143	3 519 725	1 981 518
ფული სალაროში	642 683	340 808	244 835
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	21 189 430	15 901 306	11 744 888

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქვითვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

საზოგადოება მის მიერ აღებული საკრედიტო რისკების სტრუქტურირებას ახდენს კონტრაგენტების ან კონტრაგენტების ჯგუფების მიმართ აღებული რისკის მოცულობაზე შეზღუდვების დადგენით. საკრედიტო რისკის შეზღუდვებს რეგულარულად ამტკიცებს ხელმძღვანელობა. ამგვარი რისკების მონიტორინგი განმეორებით ხდება და ექვემდებარება წლიურ ან უფრო მეტი სიხშირით გადასინჯვას.

საკრედიტო რისკის მართვა. საკრედიტო რისკი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ვალდებული პირი ვერ ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ მოვალეობას და ეს იწვევს ფინანსურ ზარალს საზოგადოებისათვის. დებიტორები შედგებიან სხვადასხვა მომხმარებლებისგან. საკრედიტო რისკის შეფასება ხორციელდება დებიტორების ფინანსური მდგომარეობის გადახედვით და შესაბამისი საექვო ვალების რეზერვის შექმნით.

საბაზრო რისკი. საზოგადოება განიცდის საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტიან აქტივებსა და ვალდებულებებში და (გ) ლიკვიდურობის რისკით პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება სისტემატიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საზოგადოებას გააჩნია გაცემული სესხები, რომლებსაც ერიცხება პროცენტები.

	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
სულ საპროცენტო შემოსავლის მქონე აქტივები (გაცემული სესხები)	2 584 629	2 585 072	2 616 203
სულ საპროცენტო გასავლის მქონე ვალდებულებები	-	-	-
წმინდა საპროცენტო სენსიტიურობის სხვაობა	2,584,629	2 585 072	2 616 203

სავალუტო რისკი. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საზოგადოებას გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია საწარმოს ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით.

საზოგადოების ხარჯების დიდი ნაწილი გაიწევა ეროვნულ ვალუტაში, შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიიღება ასევე ლარებში. ამასთან ერთად, საზოგადოება გასაყიდი საქონლის თითქმის მესამედის შეძენას ახორციელებს უცხოეთში (იმპორტი), შესაბამისად უცხოურ ვალუტაში. დამატებით, მიღებული საიჯარო მომსახურების გადასახადების უდიდესი ნაწილი დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში (შესაბამისი კურსით ლარებში).

ამდენად, საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობა ექვემდებარება სავალუტო რისკის არსებით ზეგავლენას. შესაბამისად, საზოგადოების ხელმძღვანელობა ეწევა სისტემატურ მონიტორინგს უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით წარმოშობილ სავალუტო რისკის მისაღები ლიმიტების უზრუნველსაყოფად.

ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საწარმომ შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას, ასევე, ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის აღინიშნება რაიმე სხვაობა. საწარმო ინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადებისა და ლიკვიდური აქტივების სტუქტურის ანალიზი შემდეგია:

ვალდებულებები	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12	12 თვიდან	5 წელზე	სულ
		თვემდე	5 წლამდე	მეტი	
სავაჭრო ვალდებულებები	4,925,360.29	-	-	-	4,925,360.29
მიღებული ავანსები	93,362.71	-	-	-	93,362.71
სხვა ვალდებულებები	1,830.00	-	-	-	1,830.00
სულ მომავალში გადასახდელები	5,020,553.00	-	-	-	5,020,553.00
ფინანსური აქტივები					
გაცემული სესხები და დეპოზიტები	-	-	2,584,629.45	-	2,584,629.45
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,595,504.90	-	-	-	4,595,504.90
ფული და ექვივალენტები	11,791,826.59	-	-	-	11,791,826.59
სულ მომავალში მისაღები	16,387,331.49	-	2,584,629.45	-	18,971,960.94
წმინდა პოზიცია	11,366,778.49	-	2,584,629.45	-	13,951,407.94

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადებისა და ლიკვიდური აქტივების სტრუქტურის ანალიზი შემდეგია:

ვალდებულებები	მოთხოვნისთანავე და 6 თვეზე ნაკლები	6-დან 12	12 თვიდან	5 წელზე	სულ
		თვემდე	5 წლამდე	მეტი	
სავაჭრო ვალდებულებები	3 252 840	-	-	-	3 252 840
მიღებული ავანსები	51 373	-	-	-	51 373
სულ მომავალში გადასახდელები	3 304 213	-	-	-	3 304 213
ფინანსური აქტივები					
გაცემული სესხები და დეპოზიტები	3 000 000	-	3 615 003	-	6 615 003
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5 425 770	-	-	-	5 425 770
ფული და ექვივალენტები	3 860 533	-	-	-	3 860 533
სულ მომავალში მისაღები	12 286 303	-	3 615 003	-	15 901 306
წმინდა პოზიცია	8 982 090	-	3 615 003	-	12 597 093

18. კაპიტალის მართვა

საზოგადოების კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს საზოგადოების ფუნქციონირება, რათა პარტნიორებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა. კაპიტალის

სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირების მიზნით, საზოგადოებამ შესაძლოა მოახდინოს გადასახდელი დივიდენდების ოდენობის კორექტირება, გაზარდოს საწესდებო კაპიტალი, ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

საზოგადოება არ ექვემდებარება გარეშე სუბიექტის მოთხოვნებს კაპიტალზე.

19. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტი შეიძლება გაიცვალოს გარიგების მსურველ მხარეებს შორის, გარდა იძულებული გაყიდვისა ან ლიკვიდაციისა და მისი საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიურ ბაზარზე კვოტირებული ფასი.

ფინანსური ინსტრუმენტების სავარაუდო რეალური ღირებულება განისაზღვრა საზოგადოების მიერ, რომელმაც გამოიყენა ბაზარზე არსებული ინფორმაცია, მისი არსებობის შემთხვევაში, და შეფასების შესაბამისი მეთოდოლოგიები. თუმცა, საჭიროა განსჯის გამოყენება იმისათვის, რომ ინტერპრეტირებული იქნეს საბაზრო მონაცემები და განისაზღვროს შეფასებული რეალური ღირებულება. საქართველო კვლავ ამჟღავნებს ჩამოყალიბებადი საბაზრო ეკონომიკის ქვეყნის მახასიათებლებს და ეკონომიკური პირობებით კვლავ იზღუდება ფინანსურ ბაზრებზე აქტივობების მოცულობა. საბაზრო კვოტირებები შესაძლოა მოძველებული იყოს ან ასახავდეს იძულებითი გაყიდვის ოპერაციებს და ამიტომ არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებას. ხელმძღვანელობამ გამოიყენა არსებული ყველა საბაზრო ინფორმაცია ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შესაფასებლად.

სავაჭრო და სხვა ფინანსური დებიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრები ექვივალენტების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებას.

20. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, ან ერთი მხარე ფლობს მეორე მხარის კონტროლის შესაძლებლობას ან შეუძლია მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ფინანსური ან საოპერაციო ხასიათის გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას დაკავშირებულ პირებთან გარიგებები გაფორმებული აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში და მოიცავს:

- მიღებულ საიჯარო მომსახურებას და შესაბამის ხარჯებს;
- წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის შრომის ანაზღაურებას.

დირექტორის გასამრჯელო და პარტნიორზე გაცემული დივიდენდი

(ლარი)

N	დასახელება	2018 წელი	2017 წელი
1	კობრეიძე დავით (გასამრჯელო)	60 000	60 000
	ჯამი	60 000	60 000

დაკავშირებული პირები, მეიჯარეები

N	იურიდიული პირის დასახელება	პარტნიორი	წილის ოდენობა %	თანხა (ლარი)	
				2018 წელი	2017 წელი
1	შპს „7+1“	დავით კობრეიძე	100	72 000	72 000
2	შპს „ალმასი“	დავით კობრეიძე	88	19 200	19 200
3	შპს „ნიუ კაპიტალი“	ლელა ინალიშვილი	100	120 000	120 000
	ჯამი			211 200	211 200

სულ დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები (ლარი)				211 200	211 200
--	--	--	--	----------------	----------------

21. წინა პერიოდის კორექტირებები

როგორც მითითებულია მე-2 შენიშვნაში, წინა საანგარიშო პერიოდის (2017 წელი) ფინანსური ანგარიშგების რომელიმე მუხლის დაკორექტირების საჭიროება არ წარმოშობილა.

22. განუსაზღვრელი ვალდებულებები

სასამართლო განხილვები. საანგარიშო პერიოდში საზოგადოება მონაწილეობდა სასამართლო ან/და სხვა ტიპის დავებში. ქვემოთ წარმოდგენილია 2017წ.-ის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული სასამართლო დავების მოკლე მიმოხილვა:

ოთხი დავა მიმდინარეობდა **ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით**. მოწინააღმდეგე - **სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტო**.

მოთხოვნა: ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, რომლის მიხედვითაც საზოგადოებას უარი ეთქვა ფარმაცევტული პროდუქტის შეტყობინების წესით საქართველოში დაშვებაზე, კერძოდ:

1. „Техокс“ 10 მგ ტაბლეტი N30-ის მწარმოებელი და ლიცენზიის მფლობელი KRKA, d.d., Novo mesto (სლოვენია);
2. Metypred-ის მწარმოებელი და ლიცენზიის მფლობელი orion corporation-ი (ორიონ კორპორეიშენ);
3. „ASPIRIN CARDIO 100 მგ ნაწლავში ხსნადი გარსით დაფარული ტაბლეტი #30“;
4. Elocom 1 mg/g pomade 1 მგ/გ 30გ გარეგანი გამოყენების მალამო ტუბში №1-სა და SINGULAIR 5 მგ სალეჭი ტაბლეტი №28.

ოთხივე დავასთან დაკავშირებით მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. კერძოდ, სასამართლომ ბათილად სცნო სადავო აქტი და სადავო საკითხი გადასაწყვეტად დაუბრუნა აქტის გამომცემ ორგანოს. გადაწყვეტილებები სამედიცინო საქმიანობის რეგულირების სახელმწიფო სააგენტომ გაასაჩივრა ზემდგომ ინსტანციაში.

ზემოთ აღწერილი გარემოებები, რომელიც არსებობდა 2017 წლის 31 დეკემბრისთვის გადაწყვეტილია კომპანიის სასრგებლოდ, შესაბამისად პირობითი ვალდებულებებში გათვალისწინებას აღარ საჭიროებს

2017წ.-ის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორებთან დაკავშირებით საზოგადოებას დამატებით მიმდინარე განაცხადები შეტანილი აქვს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროშიც:

1. ეკატერინე ბერაია (პ/ნ 19001008106); მოთხოვნის ოდენობა - 11.821 ლარი;
2. მარიკა ხაჭალია (პ/ნ 37001038156) – 2.600 ლარი;
3. ნინო სვანიძე (პ/ნ 37001051567) – 5.250 ლარი;

იმის გათვალისწინებით, რომ ფიზიკური პირები პასუხს აგებენ მთელი თავისი ქონებით, მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ დიდი ალბათობით აღსრულებადია.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის დებიტორებისადმი ზემოთხსენებული მოთხოვნა ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია

2018წ.-ის 31 დეკემბრის მდგომარეობით დებიტორებთან დაკავშირებით მოთხოვნების ნაშთები მცირედით შეიცვალა:

1. ეკატერინე ბერაია (პ/ნ 19001008106); მოთხოვნის ოდენობა - 9033,29 ლარი;
2. მარიკა ხაჭალია (პ/ნ 37001038156) – 2.500 ლარი;
3. ნინო სვანიძე (პ/ნ 37001051567) – 5.150,41 ლარი;

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს კანონმდებლობა საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო სფეროში განიცდიდა ხშირ ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ საზოგადოების გარიგებებსა და საქმიანობასთან მიმართებაში გაკეთებული კანონმდებლობის ინტერპრეტირება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს საგადასახადო სამსახურების ინტერპრეტაციას. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ გამოიჩინონ კანონმდებლობის განსხვავებული ინტერპრეტაცია ადრე მომხდარი გარიგებებისა და საქმიანობის მიმართ. შესაბამისად, შეიძლება წარმოიქმნას დამატებითი გადასახადების, ჯარიმების და საურავების დარიცხვის რისკი.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დაგირავებული და შეზღუდული აქტივები. საანგარიშო პერიოდში და წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის კომპანიის დაგირავებული ან/და შეზღუდული აქტივები არ გააჩნია.

სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულება. საზოგადოებას მოზიდულ სახსრებთან დაკავშირებით გააჩნია ვალდებულებები, თუმცა მათი გადახდის რისკები არ ფიქსირდება.

23. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც გამოიწვევდა დამატებით შესწორებებსა და ცვლილებებს მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა ზემოთ განხილული შემთხვევებისა.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
„იმპექსფარმი“

მმართველობის ანგარიშგება
2018 წელი

თბილისი, 2019 წელი

საქმიანობის მიმოხილვა

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „იმპექსფარმი“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად დაფუძნებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს.

საზოგადოება დაფუძნებული იქნა საზოგადოების 100%-იანი წილის მფლობელი დამფუძნებელ-პარტნიორის 1999 წლის 15 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე.

შპს „იმპექსფარმი“-ს, გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 204927909, სახელმწიფო რეგისტრაცია განხორციელებულია ქ. თბილისის ვაკის რაიონული სასამართლოს მიერ 1999 წლის 26 აპრილს, სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი 5/4-2003.

საზოგადოების საგადასახადო რეგისტრაცია (აღრიცხვაზე აყვანა) განხორციელა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციამ (ქ. თბილისი, ვაკის რაიონში) და მიანიჭა გადასახადების გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი 204927909.

დღიდან საზოგადოების დაფუძნებისა მის 100%-იანი წილის მფლობელს (პარტნიორი) წარმოადგენს ფიზიკური პირი დავით კობრეიძე, პ/ნ 01012016848.

საზოგადოების საწესდებო კაპიტალი დაფუძნების დღიდან შეადგენს 2,000 ლარს. მისი სიდიდე მეტად აღარ შეცვლილა და იგივე მოცულობით უცვლელად ფიქსირდება საანგარიშო პერიოდშიც, განსხვავებით კომპანიის საკუთარი კაპიტალისა, რომელიც მუდმივად და სტაბილურად განიცდის ზრდას:

	31.12.2018წ.	31.12.2017წ.	31.12.2016წ.
საკუთარი კაპიტალი	<u>36,603,792</u>	<u>31,801,114</u>	<u>27,048,093</u>
საწესდებო კაპიტალი	2,000	2,000	2,000
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	31,799,114	27,046,093	23,364,796
საანგარიშო წლის მოგება/(ზარალი)	4,802,678	4,753,021	3,681,297

კომპანია დარეგისტრირებულია მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, ბაქტერიოფაგისაკენ ჩასასვლელი გზის მიმდებარედ. აღნიშნულ მისამართზე წარმოდგენილია კომპანიის სათაო ოფისი და მისი ერთ-ერთი საწყობი.

საზოგადოების წესდებით და ფაქტობრივად კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მედიკამენტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა, სააფთიაქო ქსელის შექმნა/გაფართოება. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში კომპანია თავის საქმიანობას ახორციელებს თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით შექმნილი სააფთიაქო (ასევე სასაწყობო) ქსელის მეშვეობით.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოება მთელი საქართველოს მასშტაბით ოპერირებას ახდენდა 58 ერთეული აფთიაქისა ან/და სხვა დამხმარე (საწყობი, ოფისი, ტრეინინგცენტრი და ა.შ.)

ტერიტორიულად განცალკევებული სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით, რომელთა ადგილმდებარეობა (სააფთიაქო ქსელის) ტერიტორიულად წარმოდგება შემდეგნაირად:



კომპანიის განვითარების გეგმები

მიმდინარე და მომდევნო წლების განმავლობაში კომპანიის (შპს „იმპექსფარმი“) განვითარება და ზრდა პირველ რიგში ემყარება სააფთიაქო ქსელის გაფართოებას თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით.

სააფთიაქო ქსელის დივერსიფიკაციასთან ერთად კომპანიის განვითარების სტრატეგიაში ასევე მნიშვნელოვანი მიმართულებებია გასაყიდი საქონლის ასორტიმენტის გამრავალფეროვნება (მედიკამენტებთან ერთად პარასამკურნალო საშუალებები და ჰიგიენისა და კოსმეტიკის ნაწარმი) და დამატებითი მომსახურების (მედიკამენტების რეგისტრაცია) გაწევის გააქტიურება და ა.შ.

ინფორმაცია კომპანიის საქმიანობისა და მისი ფილიალების შესახებ

ტრადიციულად და საანგარიშო პერიოდშიც საზოგადოება თავის სააფთიაქო ქსელში ახდენს ადგილზე (საქართველოში) შეძენილ და იმპორტირებული საქონლის რეალიზაციას. ბოლო პერიოდში ყურადღება ექცევა ასევე წარმომადგენლობით (სახელობითი წამლები და ა.შ.) საქმიანობასა და უცხოელი მწარმოებლებისათვის მედიკამენტების სარეგისტრაციო

მომსახურების გაწევასაც. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის არეალი ფაქტობრივად სცილდება საქართველოს ტერიტორიულ საზღვრებსაც.

საანგარიშო პერიოდში კომპანიას შვილობილი კომპანიები, ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია. თუმცა, მედიკამენტების რეალიზაციას საცალო ვაჭრობის კუთხით იგი ახორციელებს სააფთიაქო ქსელის მეშვეობით. საანგარიშო პერიოდში კომპანიის საქმიანობა ხორციელდებოდა 55 აფთიაქით (როგორც თბილისის ასევე რეგიონების მასშტაბით).

01.01.2018 წლისათვის კომპანიაში მუშაობდა 508 თანამშრომელი, ხოლო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის, 01.01.2019 წლისათვის კი 549 თანამშრომელი.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოების ორგანიზაციული სტრუქტურა წარმოდგენილია შემდეგი სახით - საერთო კრება/(100%-იანი დამფუძნებელ-პარტნიორის გადაწყვეტილება)-დირექტორი-დეპარტამენტები და განყოფილებები - აფთიაქები (ქსელი) და სხვა სტრუქტურული ერთეულები.

რამდენადაც საზოგადოების 100%-იანი წილის პარტნიორი იმავდროულად არის დირექტორიც, კომპანიის საქმიანობის მართვა ხორციელდება დირექტორისა და შესაბამისი წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული შიდა პოლიტიკის, სისტემებისა და მენეჯერული პროცედურების საფუძველზე.

დირექტორი ახორციელებს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობის ხელმძღვანელობას. იგი არის საზოგადოების ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანო. დირექტორი ახორციელებს საზოგადოების ხელმძღვანელობას, ყოველდღიურ მართვას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს.

შპს „იმპექსფარმის“ კორპორაციული პოლიტიკა ხორციელდება საზოგადოების წესდების, შიდა დოკუმენტების, აგრეთვე სამართალურთიერთობათა რეგულირების სფეროში საქართველოს ფუძემდებლური ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების - კანონების „მეწარმეთა შესახებ“ და საქართველოს სხვა ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

საზოგადოების დირექტორი უზრუნველყოფს საზოგადოების თანამშრომელთა, მომხმარებელთა და ინვესტორთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

საზოგადოების კონტრაგენტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს აქვთ საზოგადოების საქმიანობის შესახებ ინფორმაციასთან თავისუფალი წვდომა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საინფორმაციო პოლიტიკა ხორციელდება მისაწოდებელი ინფორმაციის სისრულის, ოპერატიულობის, ობიექტურობისა და უტყუარობის გათვალისწინებით.

საზოგადოების სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის კონტროლს და ფინანსური ანგარიშგების სისწორეს ფასს/(ბასს)-ის მოთხოვნების შესაბამისად ახორციელებს საზოგადოების დამოუკიდებელი აუდიტორი.

ბოლო წლებში საზოგადოების განვითარება და ზრდა ემყარება პირველ რიგში სააფთიაქო ქსელის გაფართოებას თითქმის მთელი საქართველოს მასშტაბით. სააფთიაქო ქსელის დივერსიფიკაციასთან ერთად კომპანიის განვითარების სტრატეგიაში მნიშვნელოვანი

მიმართულებაა გასაყიდი საქონლის ასორტიმენტის გამრავალფეროვნება (მედიკამენტებთან ერთად პარასამკურნალო საშუალებები და ჰიგიენისა და კოსმეტიკის ნაწარმი) და დამატებითი მომსახურების (მედიკამენტების რეგისტრაცია) გაწევის გააქტიურება.

კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები

საზოგადოების ხელმძღვანელობამ საანგარიშოს წინა წელს საჭიროდ მიიჩნია ჩატარებინა შესაბამისი კვლევები კომპანიის საქმიანობასა და მის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორების უკეთ შემეცნების მიზნით (*დეტალები იხ.: საზოგადოების 2017 წლის მმართველობის ანგარიშგება*).

შესაბამისად, საანგარიშო წელში აღნიშნული მიმართულებით მსგავსი კვლევები აღარ ჩატარებულა. მით უფრო, რომ ჩატარებული კვლევებიდან მიღებული შედეგებისა და საზოგადოების საქმიანობისა და ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთილი კომპანიის როგორც ძლიერი, ისე სუსტი მხარეები, ასევე შესაძლებლობები და საფრთხეებიც, რომელთა კომპლექსური გათვალისწინებისა და გამოყენება/აღმოფხვრის პირობებში შესაძლებელი იქნება კომპანიის სწორად განვითარება და შემდგომი ზრდა მომავალ წლებში, კვლავ ინარჩუნებს აქტუალობას და, შესაბამისად, გათვალისწინებულია როგორც საანგარიშო, ისე მიმდინარე პერიოდებშიც.

2018 წლის განმავლობაში კომპანიის მიერ ასევე არ მომხდარა იმ კვლევის და განვითარების სამუშაოების ჩატარება, რომელიც უკავშირდება ინოვაციური ღონისძიებების დანერგვას ახალი ან უკვე არსებული პროდუქტების განვითარების ან გაუმჯობესების მიზნით.

თუმცა, პრაქტიკულად განხორციელებული ღონისძიებების გათვალისწინებით საანგარიშო პერიოდშივე გაუმჯობესდა კომპანიის აქტივების სტრუქტურა და შესაბამისად მიღებული იქნა დადებითი ან/და უკეთესი შედეგები:

(ლარი)	31.12.2018	31.12.2017	31.12.2016
სულ აქტივები	41 622 514	35 105 327	28 836 261
აკუმულირებული მოგება	31 799 114	27 046 093	23 364 796
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება	4 802 678	4 753 021	3 681 297

წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

2018 წლისათვის კომპანიის EBITDA-ს მარჟა შეადგენს 8,86%-ს, რომელიც გამოითვლება წმინდა მოგებას დამატებული საპროცენტო ხარჯები, გადასახადები და ცვეთა-ამორტიზაციის ხარჯები - შეფარდებული ჯამურ საოპერაციო შემოსავალთან. აღნიშნული პარამეტრი 2017 წლის მონაცემებთან (9,96%) შედარებით შემცირებულია 1,10%-ით.

უკუგება კაპიტალთან (ROE - წმინდა მოგება შეფარდებული კაპიტალთან) მიმართებაში შეადგენდა 13,12%-ს, 2017 წლის მონაცემი იგივე მაჩვენებელზე იყო 14,95%.

უკუგება აქტივებზე (ROA - წმინდა მოგება შეფარდებული მთლიან აქტივებთან) 2018 წელს იყო 11,54%, ხოლო 2017 წელს - 13,54%.

საანგარიშო პერიოდში კომპანიის ფინანსური ვალდებულების ფარდობა კაპიტალთან შეადგენს 13,71%-ს, ხოლო 2017 წელს 10,39%.

მიმდინარე აქტივების ფარდობა, კომპანიის მიმდინარე ვალდებულებებთან შეადგენს 6,72-ს, 2017 წელს იგივე მონაცემი იყო 8,31.

დამატებითი ინფორმაცია ფინანსური მაჩვენებლების შესახებ იხილეთ ფინანსურ ანგარიშგებაში.

კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმების შესახებ

საოპერაციო გარემო და რისკები. საქართველო განთავსებულია რთულ რეგიონში, სადაც ბოლო წლებში ერთმანეთს დაპირისპირებულია მსოფლიოს უდიდეს ქვეყანათა გეოპოლიტიკური ინტერესები. ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების მიუხედავად მისი ვალუტა არ არის ბოლომდე თავისუფლად კონვერტირებადი. საქართველოს საგადასახადო, საბაჟო და სააღრიცხვო კანონმდებლობა ასევე ექვემდებარება სხვადასხვა ინტერპრეტაციას და განიცდის ხშირ ცვლილებებს.

საქართველოს ეკონომიკური განვითარების მიმართულება საგადასახადო, სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ მოვლენებთან ერთად ძლიერ არის დამოკიდებული ქვეყნის მთავრობის მიერ განხორციელებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ ღონისძიებათა ეფექტურობაზე.

შესაბამისად, საზოგადოება და მის მიერ განხორციელებული საქმიანობა ზოგადად ექვემდებარება ფინანსურ რისკებს, მათ შორის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების რისკებს.

ფინანსური რისკის მართვის მთავარი მიზანია დააწესოს რისკის საზღვრები და შემდეგ უზრუნველყოს, რომ რისკის გავლენა მოექცეს ამ საზღვრებში. ოპერაციული და საკანონმდებლო რისკების მართვა გამიზნულია იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სათანადო ფუნქციონირება ოპერაციული და საკანონმდებლო რისკის მინიმუმადე შესამცირებლად.

შესაბამისად, ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული ან/და პრაქტიკაში გამოყენებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს საზოგადოების წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოება ბოლომდე აკონტროლებს ფინანსური რისკების უშუალო ზეგავლენას.

საკრედიტო რისკი. საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას ჩვეულებრივი საქმიანობის (მედიკამენტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა) და ასევე დამატებით განხორციელებული საქმიანობის (უცხოელი მწარმოებლებისათვის მედიკამენტების სარეგისტრაციო მომსახურების გაწევა, სესხების გაცემა) პირობებში წარმოიშვება დებიტორული დავალიანებები (მოთხოვნები) და შესაბამისად გააჩნია კრედიტთან დაკავშირებული გარკვეული რისკი. ეს არის რისკი, რომ შესაძლოა პარტნიორმა მხარემ ვერ გადაიხადოს მიღებული მომსახურებისა და რეალიზებული საქონლის ღირებულების თანხები სრულად, როცა მათი გადახდის დრო მოვა. შესაბამისად, საზოგადოება განსაზღვრავს კრედიტის რისკის დონეების ლიმიტებს რისკთან დაკავშირებულ თანხებზე, რომელიც მიღებულია ერთ ან რამოდენიმე პირზე.

ასეთ რისკებთან დაკავშირებული მონიტორინგი რეგულარულად ხორციელდება და ექვემდებარება ყოველწლიურ გადახედვას.

საბაზრო რისკი. უახლოეს გასულ და მიმდინარე პერიოდში საზოგადოებას გააჩნია ბაზართან დაკავშირებული რისკები ორი ძირითადი გარემოების გამო:

1. როგორც უკვე აღინიშნა ზემოთ, საზოგადოება ახორციელებს როგორც ძირითად (მედიკამენტებით საბითუმო და საცალო ვაჭრობა), ისე არაძირითად საქმიანობას (უცხოელი მწარმოებლებისათვის მედიკამენტების სარეგისტრაციო მომსახურების გაწევა, სესხების გაცემა), რომლებიც დარგში არსებული დიდი კონკურენციის გამო ხასიათდება საბაზრო რისკ(ებ)ის მაღალი დონით;
2. არსებულ ვითარებაში საზოგადოებას ასევე წარმოექმნება საბაზრო რისკები როგორც ღია პოზიციით გაცემული სახსრების (მაგ., სესხების) საპროცენტო განაკვეთების, ასევე სავალუტო (სხვადასხვა ვალუტებში შეძენებისა და მიწოდებიდან), გეოგრაფიული სეგმენტებისა და წილობრივი პროდუქტების/ (მომსახურების) სახეების მიხედვითაც.

საზოგადოების ხელმძღვანელობა აღნიშნულიდან გამომდინარე, მუდმივად განსაზღვრავს არსებული და „თეორიული“ საბაზრო რისკის შეფასების მისაღებ ლიმიტებს, რომელთა გადამოწმებაც ხორციელდება ასევე სისტემატიურად.

სავალუტო რისკი. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში საზოგადოებას გააჩნია რისკი, რომელიც გამოწვეულია საზოგადოების ფინანსურ პოზიციისა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით.

საზოგადოების ხარჯების დიდი ნაწილი გაიწევა ეროვნულ ვალუტაში, შემოსავლების ძირითადი ნაწილი მიიღება ასევე ლარებში. ამასთან ერთად, საზოგადოება გასაყიდი საქონლის თითქმის მესამედის შეძენას ახორციელებს უცხოეთში (იმპორტი), შესაბამისად უცხოურ ვალუტაში. დამატებით, მიღებული საიჯარო მომსახურების გადასახადების უდიდესი ნაწილი დაფიქსირებულია უცხოურ ვალუტაში (შესაბამისი კურსით ლარებში).

ამდენად, საზოგადოების ჩვეულებრივი საქმიანობა ექვემდებარება სავალუტო რისკის არსებით ზეგავლენას. შესაბამისად, საზოგადოების ხელმძღვანელობა ეწევა სისტემატურ მონიტორინგს

უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით წარმოშობილ სავალუტო რისკის მისაღები ლიმიტების უზრუნველსაყოფად.

ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საწარმომ შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას, ასევე, ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის აღინიშნება რაიმე სხვაობა. საწარმო ინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი.

საზოგადოების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებით (ფულადი სახსრების და ექვივალენტების ნაშთის სტაბილური ზრდა და მიმდინარე ვალდებულებების არაარსებითი ნაშთები) ნათლად ჩანს, რომ საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები საანგარიშგებო პერიოდში ფაქტიურად არ გააჩნია.

ინფორმაცია წილისა და აქციების შეძენის შესახებ

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების/წილის შეძენა ან/და გასხვისება.

საზოგადოების სახელით:

დავით კობრეიძე

დირექტორი

უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსის ცვლილებით წარმოშობილ სავალუტო რისკის მისაღები ლიმიტების უზრუნველსაყოფად.

ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები. ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ საწარმომ შესაძლოა განიცადოს სირთულეები სახსრების მოპოვებაში მის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებისას, ასევე, ლიკვიდურობის რისკს ადგილი აქვს, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადებს შორის აღინიშნება რაიმე სხვაობა. საწარმო ინარჩუნებს ლიკვიდურობის მართვას იმის უზრუნველყოფით, რომ ფონდები იქნება ხელმისაწვდომი ყველა პერიოდში, რათა მოხდეს შესაბამისი ვალდებულების შესრულება ფულადი სახსრების მოძრაობასთან დაკავშირებით, როდესაც დგება გადახდის მომენტი.

საზოგადოების აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგებით (ფულადი სახსრების და ექვივალენტების ნაშთის სტაბილური ზრდა და მიმდინარე ვალდებულებების არაარსებითი ნაშთები) ნათლად ჩანს, რომ საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ლიკვიდურობისა და ფულადი ნაკადების რისკები საანგარიშგებო პერიოდში ფაქტიურად არ გააჩნია.

ინფორმაცია წილისა და აქციების შეძენის შესახებ

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის მიერ არ მომხდარა საკუთარი აქციების/წილის შეძენა ან/და გასხვისება.

საზოგადოების სახელით:

დავით კოხრიძე

დირექტორი

